# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— ოთხშაბათი, 2 აგვისტო 1900 წ. № 1199

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**



საუკეთესოდ მოწყობილი

## სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

## სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

## წარსული წლ■ბის ჟურნალი

# „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.


## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**31 ივლისი**

**პეტერბურგი.** გენერალი ლინევიჩი იტყობინება: „1) ურთიერთთან შეთანხმებით, საექსპედიციო რაზმების უფროსთ, ჩემის ხელმძღვანელობით, როგორც უფროსისა, 23 ივლისს იერიში მიიტანეს ჩინელების ძლიერ სიმაგრეებზე პეიცანტთან, ტიანცზინიდან 12 მილის მანძილზე. სიმაგრეებს აძლიერებდა გადმოგდებული წყალი. ჩინელები იყვნენ 25 ათასამდე. დილის 10 საათზე მარცხენა მხარე პოზიციისა და რკინის გზის ორი ხიდი დაიჭირეს რუსებმა. იაპონელებმა, ინგლისელებმა, ამერიკელებმა და სტესელის მე-3 ბრიგადამ მოუარეს მარჯვენა მხარეს სიმაგრეებისას და დაიჭირეს პეიცზანი. უკუქცეულ მტერს გაადევნეს ქვეითა ჯარი ზარბაზნებით და ცხენოსნები—რუსები, ინგლისელები და ამერიკელები. ჩვენ დაგვიჭრეს 6 ჯარის-კაცი, იაპონელებს—200-ზე მეტი, ინგლისელებს და ამერიკელებს ოც-ოცი; ჩინელების ზარალი ურიცხვია. ხელთ ჩაგვივარდა 13 ზარბაზანი და დიდი ბანაკი“.

2) 24 ივლისს რუსეთისა და შვიდ სახელმწიფოთა ჯარები პეიცზანის აღების შემდეგ მხნედ გაეშურნენ იანცუნისაკენ პეიხოს ორივე ნაპირით. ციმბირის მე-2 მსროლელმა რაზმმა, გაიარა-რა 20 ვერსის მანძილი, აიღო იანცზუნი თავის სიმაგრეებით. ჩვენ მოგვიკლეს მე-2 მსროლელი რაზმის უფროსი კაპიტანი პიროგოვი და ერთი ჯარის-კაცი; დაჭრილია იმავე რაზმის პოდპოლკოვნიკი ვისოცკი და 16 ჯარის-კაცი. ჩინელების ზარალი, რომელნიც 20 ათასამდე იყვნენ, მეტად დიდია. ჩვენი ჯარი დაბანაკდა იანცზუნთან“.

**შანჰაი, 29 ივლისი.** საფრანგეთის უფროსმა კონსულმა განაცხადა, რომ, თუ იქ ჯარები შეიყვანეს ევროპიელებმა, ის იმოქმედებს ინგლისელებთან ერთად.

28 ივლისს მომხდარ არეულობის დროს ტანუნში გადასწვეს სატელეგრაფო სადგური და დააზარალეს სხვა შენობებიც.

**ტიანცზინი, 21 ივლისს (?).** პეკინიდან დანამდვილებით იტყობინებიან, რომ იუნგლუს გავლენა, რომელიც ევროპიელთ ესარჩლება, თანდათან ძლიერდება.

**შანჰაი, 29 ივლისი.** ბრიტანიის უფროსმა კონსულმა გამოუცხადა თავის ამხანაგთ, რომ ის მალე მოელის ინგლისელ ჯარს, და დასძინა, რომ ეს ზომა მიღებულია საზოგადო ინტერესებისათვის და არავითარი მალული აზრი არა აქვს. ჩინეთის მთავრობამ, იმის თქმით თანხმობა განაცხადა ჯარის მოყვანისა. კონსულებმა ინგლისის კონსულის განცხადება უწინააღმდეგოდ მიიღეს, მაგრამ ჩინელების აზრის შეცვლა მოხდა მაშინ, როდესაც საფრანგეთის ელჩმა განაცხადა, რომ, შემოიყვანენ თუ არა ინგლისელები შანჰაიში თავის ჯარებს, საფრანგეთიც შემოიყვანსო იმოდენსავე ჯარს.

**ჩიფუ.** ჩინელი ჯარი, რომელიც ტიანცზინიდან სამხრეთით სდგას, როგორც ჰფიქრობენ, უნდა უდრიდეს 2000 კაცს (?). ჰშიშობენ, რომ ეს ჯარი წავა ან ტიანცზინისაკენ, ან ტონკუსაკენ.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა გარდასცა გუშინ აქაურს ჩინეთის ელჩს პასუხი ლიხუნ-ჩანგის წინადადებაზე მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ. პასუხში გამოთქმულია, რომ მშვიდობიანობაზე ლაპარაკის აღძრა არ შეიძლება, სანამ ჩინეთის მთავრობა არ აასრულებს ამერიკის მთავრობის მოთხოვნას, აღნიშნულს 26 ივლისის წერილში.

---

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

« სატახტო გაზეთებში მოყვანილია ლიხუნგ-ჩანგისა და ერთის გერმანული გაზეთის კორრესპონდენტის ბაასი: „«მოკრივეები» ავაზაკები არ არიანო,—უთქვამს ლიხუნგჩანგს, თუმცა მოძრაობის დროს მათ ბევრი ცუდი ელემენტი შეუერთდა. ისინი იმპერატორის სახლის ერთგულნი ქვეშევრდომნი არიან. აჯანყების მიზეზი რელიგიური თვისების არ არის, თუმცა, უეჭველია, რომ მას კავშირი აქვს სარწმუნოებასთან, რადგანაც აჯანყება თავდაპირველად მომართული იყო ქრისტიანობის, განსაკუთრებით გაქრისტიანებულ ჩინელების წინააღმდეგ. ეს მოქცეული ჩინელები სცდილობდნენ შეეძინათ განსაკუთრებული უპირატესობანი. ესენი ყოველთვის სარგებლობდნენ მისსიონერების და ამათის საშუალებით ევროპიელ სახელმწიფოების მფარველობით სხვა ჩინელების წინააღმდეგ. ისინი უმოწყალოდ ავიწროვებდნენ სხვებს, განსაკუთრებით „მოკრივეებს“. ეს დიდი ხანია, რაც ხდება. მოქცეულები თან-და-თან უფრო შეიძულეს და ბოლოს ამ მძულვარებამ თავი იჩინა. „მოკრივენი“ უმთავრესად მოქცეულ ჩინელების წინააღმდეგ მოქმედებდნენ; შემდეგ, რასაკვირველია, მათ მფარველ მისსიონერების და საზოგადოდ უცხოელების წინააღმდეგაც, რადგანაც „მოკრივენი“ ჰფიქრობდნენ, რომ მისსიონერები უცხოელ სახელმწიფოების წარმომადგენელნი არიანო. მე მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ მისსიონერები ყოველთვის საშიში იყვნენ ჩინეთ-უცხოეთის დამოკიდებულებისათვის და იყვნენ და არიან ყოველი არეულობის მიზეზი. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქმნება, თუ ამ ჩემს აზრს გამოაქვეყნებთ“.

შემდეგ კორესპონდენტს უკითხავს ლიხუნ-ჩანგისათვის, გავრცელდება, თუ არა მოძრაობა სამხრეთ ჩინეთის პროვინციებში.

„ამ პროვინციების მცხოვრებთა უკეთესი ნაწილი, განსაკუთრებით დიდი ვაჭრები, „მოკრივეების“ წინააღმდეგნი არიან, რადგანაც როგორც ქვეყნისათვის, ისე თავისთვისაც ზარალის მეტს არას გამოელიან ამ აჯანყებისაგან. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ მათ შორის „მოკრივეების“

თანამგრძნობელნიც არ იყვნენ; ხალხი კი დიდის თანაგრძნობით ეპყრობა მათ. თვით სახელმწიფოების ბრალია ხალხის უცხოელების წინააღმდეგ მოქმედება. ამას წინად მოჰკლეს ორი გერმანელი მისიონერი. გერმანიამ დაკმაყოფილება მოითხოვა და ჩინეთის მთავრობამაც სასტიკად დასაჯა დამნაშავენი. გერმანიამ ეს არაფრად ჩასთვალა და მოითხოვა ტერრიტორიის დათმობა. მიაღწია კიდეც მიზანს. ეს ნამეტანი იყო ორი მისსიონერის მოკვლისათვის. გერმანიას სხვა სახელმწიფოებიც მიჰყვნენ, და ეს იყო, რომ მოთმინება დაჰკარგა ხალხმა, რომელიც წინად მეგობრულად ეპყრობოდა უცხოელებს. ეხლა ჩინეთი არაფრის გულისათვის არ დასთმობს სულ პატარა ტერრიტორიასაც კი“.

შესახებ გერმანიის ელჩის კეტტელერის მოკვლისა ლიხუნჩანგმა სთქვა: „შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ არც ტუანმა და არც რომელიმე მთავრობის პირმა არ იცოდა არაფერი ამ მკვლელობის შესახებ. წინააღმდეგ აზრისა, პრინცმა ტუანმა მიიპატიჟა ცუნგ-ლი-ამენში უცხოეთის ელჩები, რათა მოჰლაპარაკებოდა მათ საჭირო ღონისძიებათა მიღების შესახებ. ბარონ კეტელერი მოჰკლეს სწორედ ცუნგ-ლი-იამენის გზაზე; და მოჰკლეს იგი, რასაკვირველია, არა როგორც ელჩი, არამედ როგორც უცხოელი. პრინცი ტუანი და მთელი ჩინეთის მთავრობა მეტად სწუხან, რომ მოხდა მკვლელობა, რომელმაც ჩვენი მდგომარეობა მეტად გააძნელა“. ლიხუნჩანგის სიტყვით ჩინეთის მთავრობის სათავეში სდგას პრინცი ტუანი იმპერატორის მინდობილებით.

✕ მეცნიერების აზრით, როდის შევიდა ქრისტიანობა ჩინეთში? პირველად ქრისტიანობა შეიტანეს ჩინეთში ნესტორიანებმა მეექვსე საუკუნის დასაწყისში. ქრისტიანობა ადვილად ვრცელდებოდა: სი-ან-ფუზე, რომ არა ვსთქვათ-რა, ქრისტიანების ეკლესიებს შეხვდებით, ძველი მოგზაური მარკო პოლოს სიტყვით, ხანჩჟოუში, ჩჟენციანში და ჩინეთის სხვა ადგილებშიაც. კათოლიკე მისიონერები მივიდნენ ჩინეთში მე-XIII საუკუნის დამლევს და ამ დროიდან ქრისტეს სარწმუნოება კიდევ უფრო უკეთ ვრცელდება როგორც დაბალ ხალხში, ისე სწავლულთა და მოხელეთა შორის, რომელთაგან ბევრი დიდ მფარველობას უწევდნენ ქრისტიანებს. მართალია კონფუცის მიმდევრები ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ მათ წინააღმდეგ, მაგრამ ხალხი სრულებით მტრულად არ უცქეროდა მოსულებს და მისიონერებს, რომელნიც დიდის სიფრთხილითა და თანდათანობით მოქმედებდნენ, სასახლეშიაც კი შესამჩნევი გავლენა ჰქონდათ. რომ მისსიონერებმა, როგორც დასავლეთის წარმომადგენლებმა, კარგი სახელი მოიპოვეს ჩინეთში, მტკიცდება, სხვათა შორის, იმ გარემოებითაც, რომ, როცა მე-XVI საუკუნეში ჩინეთში ევროპიელი ვაჭრები მივიდნენ, მეგობრულად მიიღეს ჩინელებმა და ნება მისცეს მათ დაეარსებინათ რამდენიმე ადგილას ფაქტორიები (ნინ-ბოში, ამოიში, კანტონში და მაკაოში). ცხადია,—ევროპიელებზე რომ ჩინელებს ცუდი წარმოდგენა ჰქონოდათ, ჩინეთში დაფუძნების ნებას არასოდეს არ მისცემდნენ ვაჭრებს, მაგრამ ესენი გამოდგნენ ნამდვილი ავანტიურისტები, რომელნიც ფულის მოგებისათვის არავითარ სისაძაგლეს გვერდს არ უვლიდნენ. მალე ერთმანერთის გაუგებრობა და მრავალი უთანხმოება ასტყდა ამათსა და ჩინელებს შორის და ბოლოს, 1617 წელს, გამოვიდა ბრძანება მისსიონერების და ყველა უცხოელების განდევნის შესახებ.

მისსიონერებმა იმდენი მოახერხეს, რომ ეს ბრძანება შესცვალეს, მაგრამ უცხოელებს და ჩინელებს შორის მე-XVII-ე და მე-XVIII-ე საუკუნოებში კარგი განწყობილება აღარ ყოფილა და ვაჭრობაც მეტად შევიწროებული იყო.

მისსიონერების მდგომარეობა კი ჩინეთში ამ დროს კარგი იყო. მათ მფარველობას უწევდა ეხლანდელი დინასტიის პირველი იმპერატორი და თავის მხრივაც მისიონერები დიდ სამსახურს უწევდნენ მათ. მე-XVIII-ე საუკუნის ნახევარში მისიონერებმა პოლიტიკას მიჰყვეს ხელი, და ამიტომ მათ დევნა დაუწყეს. ამ დევნას წმინდა პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და ხალხი ნაკლებ მონაწილეობას იღებდა.

ევროპიელების ვაჭრობის საქმე უფრო და უფრო ცუდად მიდიოდა, რადგანაც ჩინეთის მთავრობა უფრო და უფრო ავიწროვებდა მას. 1839 წელს ჩინელებმა მოსპეს 20-ათასი ყუთი ოპიუმი, რომელიც შემოჰქონდათ ინგლისელებს მიუხედავად აკრძალვისა. ამას მოჰყვა პირველი ომი ევროპიელებისა ჩინელებთან. ეს ომი გათავდა 1842 წლის ტრაქტატით, რომლის ძალით ინგლისმა ჰონკონგი შეიძინა.

ოპიუმის ძალათ გავრცელების შემდეგ, უცხოელებმა მეორე ცუდი საქმე დამართეს ჩინელებს: ვაჰყავდათ უამრავი მუშები, რომელნიც კოლონიებში მიჰყავდათ, და იქ ის უკანასკნელ პლანტატორის მონად ხდებოდა.

ჩინელებმა მოთმინება დაჰკარგეს და რაღაც უბრალო ინციდენტის გამო ახალი ომი ასტყდა. ჩინელები დამარცხდნენ და იძულებულნი შეიქმნენ, კიდევ ბევრი რამ ახალი დაეთმოთ ევროპიელებისათვის; დასთანხმდნენ უცხოეთის ელჩების შემოშვებას პეკინში, რამდენიმე ახალი ნავთსადგურების გახსნას უცხოელ ვაჭრებისათვის და რამდენიმე პრივილეგიის მიცემას ამათთვის.

ადვილად წარმოსადგენია, თუ რას ჰგრძნობდნენ ჩინელები ევროპიელ ვაჭრებისადმი. მისიონერები, რომელნიც ომიანობის დროს ჩინეთიდან გავიდნენ, ისევ დაბრუნდნენ პეკინის ტრაქტატის ერთის მუხლის ძალით ახალი პრივილეგიებით შემოსილნი. ცხადია, რომ ჩინელები მისიონერებსაც მტრულად უყურებდნენ, მაგრამ აქაც, როგორც წინედ, მისიონერები არაფერ შუაში ყოფილან. ამის შემდეგ ჩინელები ერთ ნაირად უყურებდნენ მისსიონერებსაც და უცხოელებსაც. მაგრამ, რადგანაც გამოცდილებამ ჭკუა ასწავლა მათ, გაბედვით არა გაუბედნიათ რა; სამაგიეროდ შეუდგნენ ჯარის რეფორმას, ფლოტის შეძენას, არსენალებისა და სამხედრო სკოლების დაარსებას.

ყველა ამ საქმეებისათვის აუცილებლად საჭირო იყო ევროპიელებთან დაახლოვება, და ჩინელებიც გარეგნად შეურიგდნენ უცხოელებს. გულში კი ყოველ ჩინელს ევროპიელის ღრმა სიძულვილი ჰქონდა დამალული. ამგვარია ჩინელების დამოკიდებულება უცხოელებთან. აქამდე ისინი სარგებლობენ ევროპიელის ცოდნით და ფულით, ცოტ-ცოტაო ითვისებენ ევროპის კულტურას მხოლოდ იმიტომ, რომ ეს აუცილებელია, მაგრამ როგორც კი შემთხვევას იშოვნიან, თავიდგან მოიშორებენ უცხოელებსაც და მათგან შეძენილსაც.

სხვა მდგომარეობაში ჩაკვივდნენ მისიონერები: ესენიც სხვა უცხოელებსავით ხელშეკრულების ძალით იყვნენ ჩინეთში, მაგრამ ამათგან ჩინელები არაფერს სწავლობდნენ, და თავიანთი მოქმედებით კი მისსიონერები წინააღმდეგნი იყვნენ კონფუცის სარწმუნოებისა და სწავლულთა გავლენისა და მნიშვნელობისა; მისსიონერი მთელი თავის მოქმედებით შეურაცხჰყოფს ტრადიციასა და ხალხის რწმენას. ბუნებრივი შედეგი ყველა ამ გარემოებათა ის იყო, რომ 1860 წლის შემდეგ მისსიონერს მეტად მტრულად უყურებდა ჩინელი. გარდა ამისა მისსიონერი, რომელიც ზურგს უკან ძლიერ სახელმწიფოს მფარველობას ხედავდა, აღარ იქცეოდა წინანდებურად ფრთხილად და თანდათანობით. საქმე ისე გაუჭირდათ მისსიონერებს, რომ ესენი გვერდს არ უვლიდნენ ისეთი ჩინელების მონათვლას, რომელნიც ამას მხოლოდ ანგაარებით სჩადიოდნენ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო შეაძულა ისინი ჩინელებს. (დასასრული იქნება).

# ახალი ამბავი

✦ ხუთშაბათს, 3 აგვისტოს, საათის 1-ლზე მთავარმართებლის თანაშემწე ბ-ნი ფრეზე მიიღებს სასახლეში მთხოვნელებს და მოსამსახურე პირთ.

✦ ტფილისის მეორე საქალებო გიმნაზიის დირექტორი აცხადებს, რომ თავისუფალი ვაკანსიები მოიპოვება ხსენებულ გიმნაზიაში მხოლოდ მოსამზადებელსა და პირველ კლასებში. მისაღები ეგზამენები იქნება 24-ს და 26-ს აგვისტოს.

✦ **სამრეწველო დაწესებულებათა** გახსნა ქალაქებში, როგორც ვიცით, დამოკიდებულია გუბერნატორისაგან, რომელიც ყოველი ქარხნის ან ფაბრიკის გახსნის თხოვნის შესახებ უნდა შეეკითხოს ქალაქის გამგეობას მისი აზრის გასაგებად. ეხლა სათანადო უწყებამ ახსნა, რომ, თუმცა კანონი თხოულობს გუბერნატორისაგან ამ შეკითხვას, გამგეობის აზრის მიღება სრულებით სავალდებულო არ არის გუბერნიის მმართველობისათვის.

✦ შაბათს, 29 ივლისს, ტფილისში ჩამოვიდა მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი კირილე ვლადიმერის ძე. ტფილისში ყოფნის დროს დიდმა მთავარმა დაათვალიერა ქალაქი და გუშინ-წინ, 31 ივლისს, რკინის გზით ბათუმისაკენ გაემგზავრა.

✦ ქალაქის გამგეობის გუშინწინდელ სხდომაზე, სხვათა შორის, განიხილეს **კუკიას სამოქალაქო სკოლისთვის** სადგომის მოძებნის საქმე. კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სადგომის მონახვა, აირჩია ბ-ნი ჰრელაშვილის სახლი ანდრეევის ქუჩაზე. გამგეობამ მიიღო კომისიის აზრი და დაადგინა, იქირავოს სკოლისათვის ბ-ნი ჰრელაშვილის სახლი 1000 მანეთად წელიწადში, გამგეობის წევრი ბ-ნი შესტაკოვი არ დათანხმებია გამგეობის დადგენილებას და განსაკუთრებული აზრი შეუტანია ოქმში.

✦ გზათა სამინისტრომ წინადადება მისცა რუსეთის რკინის გზის უფროსებს შეჰკრიბონ ცნობები **სატელეგრაფო სამსახურის**

შესახებ (მოსამსახურეთა რიცხვი, მათი წლოვანება, განათლების ცენზი, ჯამაგირის რაოდენობა და სხვა) სამინისტროში წარსადგენად.

✦ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას განკარგულება მოუხდენია, რათა ამ უწყებაში მოსამსახურეთა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა ყოველთვის საფუძვლიანი მიზეზით მოხდეს ხოლმე.

✦ ლორის საბოქაულოდან იწერებიან, რომ მიუხედავად ხშირი წვიმებისა, რომელნიც ხელს უშლიან ჰირნახულის მოწევას, მოსავალს ძალიან კარგს მოელიან, ქერი და პური მეტად კარგი მოდის.

✦ სოფ. მინადლეში (ტფილისის გუბერნია) სეტყვას თითქმის სრულებით გაუნადგურებია სოფლელების ჰირნახული.

✦ კვირას, 30 ივლისს, მტკვარზე უბედურობა მომხდარა: ამბარცუმ მადგიევი მდინარის ნაპირზე საცვლებს ირეცხდა და გაუფრთხილებლობის გამო წყალში ჩავარდა; წყალმა გაიტაცა იგი და იხრჩობოდა. მაქსიმე სლაბი მიეშველა მადგიევსმაგრამ უკანასკნელმა ხელებში სტაცა მას ხელი და თან ჩაითრია. ამისთვის შეუხედნია „მშველელი“ სადგურის ერთ მცურავს და საშველად გაქანებულა, მაგრამ მასაც ეგრე მოუვიდა, როგორც პირველს: სტაცეს ხელი და ჩაითრიეს. სამივე ერთად დაიხრჩვნენ. დამხრჩვლები ჯერაც არ უპოვნიათ.

✦ ს. ქედიდან (ქვემო აჭარა) სწერენ «ივერიას» 26 ივლისს: «აგერ ორი თვეა, რაც ჩვენში ნამი წვიმა არა ყოფილა და ისეთი სიცხეები იყო, რომ ნათესი სიმინდები სულ ერთიანად ამოსწვა, და ღარიბ ხალხს სიმინდის მოსავლის იმედი აღარ ჰქონდათ. შიმშილობას მოელოდნენ, მაგრამ ბედმა გაგვიღიმა. ამ თვის 25 ისეთი ყუჟუნა წვიმა მოვიდა, რომ სიმინდები მოაბრუნა და, იმედია, შიმშილობას გადავურჩეთ.

წრეულს ჩვენში ხეხილის მოსავალი მოისპო. უმეტესი კაკლისა და კამლისა. მსხალი და კაკალი, გგონებ, ხუთ წელიწადს აღარ მოისხამს. ისე გაახმო ეს ხეხილები მაისის სიცივემ, რომ ხმელი ქერქი მარტსა სცვივა. ახალი კაკალი წამლად არ იშოვება, მსხალი გირკანქა ჩვენ ბაზარში მაურად იყიდება და შარშან-კი გირკანქა კაპეიკად იყო. აბა რა უნდა ჰქმნას ღარიბმა ხალხმა? გარდასახადი რით უნდა გადავიხადოთ, ცოლ-შვილი რით უნდა ვარჩინოთო, ამ ფიქრშია ხალხი. თუმცა-და ყურძენს—ჩხავერს პირი კარგი უჩანს, თუ ბოლოს ბედმა არ გვიღალატა, მაგრამ ჩვენი

უბედურება ის არის, რომ ღვინის კეთების ხელი არ იციან, რომ ღვინო გაჰყიდონ და ისარგებლონ. ღვინის კეთება აქ ცოდვად მიაჩნია ხალხს და ჩხავერ ყურძენს ისე უბრალოდ აფუჭებენ.

ჩვენში ყველაფრის სიძვირე ჩამოვარდა, უმეტესად ერბო-ყველისა და ხორცისა. ამას წინად ხორცი ერთი ოყა სამ შაურად იყო. ერბო სამ აბაზად, ყველი აბაზად, ეხლა ერთიორად ჰფასობს. ღარიბი ხალხი რადგაც ერთ ოყა ხორცს მაინც იყიდიდა და ცოლ-შვილს მოუტანდა, ისიც ვეღარ იყიდა სიძვირისა გამო.

ამას წინად მოხსენებული გვქონდა მადნეულობის შესახებ, რომ სადაც წითელი ქვები ნახეს, ნიმუშებად წაიღეს-მეთქი. ერთი მადანი ნამდვილი გამოდგა სოფელ ბერისში. აგერ სამი წელია, რაც ამუშავებს ვიღაცა ვაჭარი რიხნელი. მცხოვრებლებმა დიდი ფული შეიძინეს და მადლობელი არიან. გავარდა ხმა, რომ მადანი გამოილია და აღარაფერი არ შემოდისო. თურმე ტყუილი ხმა დააგდო ვაჭარმა, რომ სხვა არავინ შემეცილოსო. უმთავრესი მიზეზი ამისის საქციელისა ის ყოფილა, რომ ბ-ნ ტოფან ბეგ-შარვაშიძეს აქვს თურმე სოფელ ბეშანაში ახლად გამოჩენილი სპილენძის მადანი, რომელიც ყველაზედ უკეთესია აჭარაში, და მცხოვრებლებს დიდი სიხარული აქვთ, რომ მრავალს სარგებლობას მოგვიტანსო. ამ მადნის პატრონმა ბ ნმა შარვაშიძემ განაჩენი დაადგინა, რომ ფუთ გატანილ მადანზე ერთი კაპეიკი გადაიდოს საზოგადო სასარგებლოდ. ხალხს ეს დიდად ესიამოვნა და მადლობა უთხრეს.

## მარგანეცის მწარმოებელთა კრება

მარგანეცის მწარმოებელთა მესამე მორიგი კრება დაიწყო ქუთაისში 26 ივლისს. კრების თავმჯდომარედ, მთავრობის დანიშვნით, არის კავკასიის სამთო მმართველობის უფროსის თანაშემწე მ. ი. ჩენგერი; კრებას ესწრებიან სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი, მათ შორის კავკასიის უმთავრეს ადმინისტრაციის წარმომადგენელი უგ. თავ. პ. ა. გრუზინსკი.

თავმჯდომარემ გახსნა კრება მოკლე სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა კრების განსახილველად დანიშნული საყურადღებო საგნები და ბოლოს წინადადება მისცა კრებას აირჩიოს კრების მდივანი. კრების საბჭოს თავმჯდომარემ დაასახელა მდივნად დ. ბ. მდივანი; კრების ზოგიერთმა წევრმა დაასახელეს ბ. პ. სურგულაძე. ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა ბ. სურგულაძე. შემდეგ არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც დავალა შემოწმება ვექილობათა და სიისა, ვის

რამდენი ხმა აქვს კრებაში. კომისიას უნდა აღესრულებინა დავალება, როდემდისაც გადადებულ იქმნა სხდომა.

საღამოს სხდომაზე ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია სკგ. გაჩეჩილაძის და სიმ. ქვარიანის წინადადებამ,—არჩეულ იქმნასო კომისია შესამოწმებლად და განსახილველად საბჭოს მიერ წარმოდგენილ ანგარიშისა. ხსენებულ პირთა აზრით, სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომ ფულის ანგარიში სწორეა და სინამდვილეს ეთანხმებაო, პატივდებაში არ არის მისაღები და ამიტომ ახალი სარევიზიო კომისია უნდა დაინიშნოსო. კრების ბევრი წევრი წინააღმდეგი შეიქმნა ამისა. «ჩვენ ვენდობით ჩვენ მიერვე არჩეულს კომისიასაო და სრულიად საჭირო აღარ არის ახალის კომისიის არჩევაო», ამბობდა ბევრი. მაგრამ წინადადების მომხრენი დაჟინებით თხოულობდნენ ახალის სარევიზიო კომისიის დანიშვნას. ეს უცნაური კამათი შესწყდა კრების თავმჯდომარის ბ. ჩენგერის განცხადების შემდეგ, რომ სარევიზიო კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა მთავრობის მოხელე და იქ არავითარ ბოროტგანზრახულებას ადგილი არ ექნებაო.

პირველი სხდომა კრებისა დასრულდა საბჭოს თავმჯდომარის გ. ფ. სდანოვიჩის ვრცელის მოხსენების განხილვით, რომელშიაც ის წინადადებას აძლევდა კრებას—იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს ან შტეიგერების სკოლის დაარსების შესახებ, ან სამთო დესეტნიკების სკოლისა. ხოლო თუ ჯერ-ჯერობით არც ერთი სკოლის დაარსება არ მოხერხდა, მაშინ, მომხსენებლის აზრით, კრებამ უნდა გადასდოს იმდენი საშუალება, რომ გაამართოს ქუთაისის გუბერნიაში პრაკტიკული კურსები სამთო საქმის შესასწავლადაო. ამასთანავე კრებამ უნდა აღნიშნოს რაოდენობა სტიპენდიებისა, რომელნიც, პირველ მორიგ კრების დადგენილების თანახმად, უნდა მიეცეს უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლების სტუდენტებს.

კამათი უფრო სტიპენდიების დანიშვნის საქმემ გამოიწვია. ბ. ქვარიანმა განაცხადა, რომ სტიპენდიები-კი არ უნდა დაარსდესო, არამედ სესხი უნდა მიეცეს სტუდენტებსაო. ზოგი სრულიად წინააღმდეგი იყო როგორც სტიპენდიებისა, ის სესხისა და არჩევდა სამთო სკოლის დაარსებას. ხანგრძლივის კამათის შემდეგ ბ. ჩენგერის უნდოდა საკამათო საგანი ფეხზე ადგომით გადაეწყვიტა, მაგრამ, რადგანაც დარბაზში აღმოჩნდა ბევრი ისეთი, რომელთაც ხმა არა ჰქონდათ, საქმის გადაწყვეტა გადაიდვა შემდეგ სხდომისათვის.

# საღამოს დეპეშები

**1 აგვისტო**

**პეტერბურგი.** „პრავ. ვესტნ.“-ში გამოცხადებულია შემდეგი შიფრიანი დეპეშა პეკინში მყოფ რუსეთის ელჩისა: „22 ივლისს ჩინეთის მთავრობამ ხელ-ახლად მიჰმართა ყველა უცხოელ სახელმწიფოთა წარმომადგენელს პეკინში და წინადადება მისცა დანიშნონ დღე და პირობა ტიანცზინში წასვლისა; ამასთანავე ცუნგ-ლი-იამენმა გამოუცხადა მათ, უცხო სახელმწიფოები თხოულობენ ჩინეთის მთავრობისაგან, რომ ელჩები გადაყვანილ იქმნენ პეკინიდან ტიანცზინშიო. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ დაველაპარაკებით სათანადო მთავრობათ და რა ბრძანებასაც მივიღებთ, ისე მოვიქცევით. მოვალეობადა ვრაცხ გამოვაცხადო, რომ ჩვენი წასვლა პეკინიდან უშიშარ ყოფილ იქმნას, მეცილებელია პეკინში მივიდეს შეერთებული ჯარი რვა-ასი ევროპიელთა დასაფარავად, რომელთაგანაც 200 ქალი და ბავშვია და 50 დაჭრილი. საზოგადოდ ტიანცზინში წასვლა ამ ჟამად სახიფათოა უგზოობისა გამო. ყველა ჩემი ამხანაგები უგზავნიან ამგვარსავე დეპეშებს თავიანთს მთავრობებს. გთხოვთ შეატყობინოთ ჩვენს ოჯახებს, რომ რუსეთის საელჩოს წევრები ყველანი კარგად იმყოფებიან. მოკლულნი არიან ბანკში მოსამსახურე სტუდენტი ხიტროვო და 3 ზღვაოსანი. დაჭრილნი არიან სტუდენტი ბრაუნსი, რომელიც ეხლა უკვე არის ⅌ 14 ზღვაოსანი. რუსეთის მისსის შენობები დაზარალებულ არიან კუმისიისაგან.

დაინიშნენ: ციმბირის კორპუსის უფროსი გენერალი ლინევიჩი 1-ის ციმბირის კორპუსის უფროსად, 2 კავალერიის კორპუსის უფროსი გენერალი ბარონი კაულბარსი, 2 ციმბირის კორპუსის უფროსად.

**ვაშინგტონი.** გენერალი რაფფი იუწყება 28 ივლისის რიცხვის დეპეშით:—გუშინ მოვედით ხესიაში, რომელიც იმყოფება პეკინისა და ტიანცზინის შუა გზაზედ.

**შანხაი.** ჩინეთის თოფის წამლის საწყობში აფეთქება მოხდა გუშინ საღამოს, მაგრამ რამდენად დიდია ზარალი, არავინ იცის. უცხოელები საწყობის ახლო არგაიკარეს.

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

# გამოსადეგი ცნობანი

**ნ ი ხ რ ი**

| | | |
|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | . | 1 გ. $8^1/_2$ კ. |
| სკგი | . . . . . . . | „ — 15 კ. |

› ცხვრისა . . . › — $8^1/_2$ კ.
› ღორისა . . . 1 — 8 კ.
› კამეჩისა › › › — 8 კ.
› ღორის ზარკა-
ლი სალორეთი . 1 › —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ზური ფურნისა | I | ხარ. | 1 კ. | 5 კ. |
| › › | II | › › | › | $3^1/_2$ › |
| › › | III | › › | › | 3 › |
| იგივე თორნისა | I | › › | › | 5 › |
| › › | II | › › | › | 4 › |
| › › | III | › › | › | $3^1/_2$ › |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | › › | › | 6 « |
| › › | II | › › | › | 4 « |

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალზე,

| | | მ. | კ. | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | | | | | |
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი | 1 | 1 | 1— | 5— | |
| სიმინდი | 1 | — | 80 | —— | |
| ფქვილი სოფლისა | 1 | 1 | 20 | —— | |
| › უფრო მდარე | 1 | 1 | 10 | —— | |
| კომბოსტო | 1 | — | 30 | —— | |
| კარტოფილი | 1 | — | 65 | —— | |
| ხახვი | 1 | — | 10 | —— | |
| თივა | 1 | — | 25 | —— | |
| ბზე | 1 | — | 28 | —— | |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მუსაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 › 25 › |
| № 1—8 › 50 › | | № 5—7 › — › |
| № 2—8 › — › | | № 6—6 › 75 › |
| № 3—7 › 50 › | | № 7—6 › 25 › |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 79 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 “

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10%. შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** **ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუღურეთისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ მის თანადასწრებით 2 აგვისტოს ამა 1900 წელს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია ვაჭრობა ელისაბედის ქუჩის ქვით დაფენაზე საქალაქო სანერგე ბაღიდან დაწყებული დიდუბის ეკკლესიამდე, სულ ზომით 1021 ოთხ-კუთხი საჟენი. საქმე სულ 3575 მანეთისაა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათ. (ნ. 3—3)

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

### წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— | › |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | « | —50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | « | —10 |
| ზნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) | « | —20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | « | —70 |
| იგივე II ტომი | « | —60 |
| იგივე III ტომი | « | —60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | « | —80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | « | —10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | « | —60 |
| იგივე II ტომი | « | —60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | « | —60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | « | —40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | « | —20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | « | —50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | « | —15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1— | 20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1— | 50 |
| რძე მისივე | 1— | 50 |
| სიბრძე ბალავარისა | « | —30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | « | —80 |
| დასტურ-ლამა | « | —10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

### სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაწილი | I | საერო კრება | 60 კ. |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი | IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | | | 30 „ |
| იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | | | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

გამომც. გ. გუნია.



სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბა. განჯის დიდი ქუჩა, № 27.